Unmittelbares Ansetzen zur Tatbestandsverwirklichung

Im **deutschen Strafrecht** versucht nach § 22 dStGB derjenige eine Straftat, der nach seiner Vorstellung von der Tat zur Verwirklichung des Tatbestandes unmittelbar ansetzt. Im **georgischen Strafrecht** muss nach Art. 19 Abs. 1 gStGB hingegen die Handlung des Täters beim Versuch unmittelbar auf die Straftatbegehung gerichtet sein, es fehlt also insoweit erst einmal der subjektive Bezug (zum Vorsatz siehe aber unten). Der Versuch im **georgischen Strafrecht** soll demnach objektiv den Anfang der Tatbestandsverwirklichung darstellen und liegt vor, wenn entweder bereits ein Merkmal des Straftatbestandes verwirklicht wurde oder wenn der Täter damit beginnt, ein Tatbestandsmerkmal zu erfüllen. Beim Anfang der Tatbestandsverwirklichung müssen die begangenen Handlungen daher zeitlich und räumlich eng mit der Begehung des Straftatbestandes in Verbindung stehen, was nur dann vorliegt, wenn sie der Tatbestandsverwirklichung unmittelbar vorangehen und mit dieser eng verflochten sind. Dies entspricht auch dem **deutschen Strafrecht**, wonach unter dem unmittelbaren Ansetzen eine Handlung verstanden wird, die in ungestörtem Fortgang ohne wesentliche Zwischenakte unmittelbar zur Tatbestandsverwirklichung führen soll oder in unmittelbarem räumlichen und zeitlichen Zusammenhang mit ihr steht. Die unmittelbar auf die Straftatbegehung gerichtete Handlung muss nach Art. 19 Abs. 1 gStGB auch vom Vorsatz des Täters erfasst sein (was sich bei § 22 dStGB schon aus dem Wortlaut – „nach seiner Vorstellung“ – ergibt). Stellt sich der Täter hingegen ein unmittelbares Ansetzen zur Tatbestandsverwirklichung lediglich vor, liegt jedenfalls im georgischen Strafrecht kein Versuch vor, was im deutschen Strafrecht umstritten ist. (Bhe/Kmt)

ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალო დაწყება

გერმანულ სისხლის სამართალში გსსკ-ის 22-ე პარაგრაფის მიხედვით, დანაშაულის მცდელობას ახორციელებს პირი, რომელიც ქმედებაზე თავისი წარმოდგენის მიხედვით უშუალოდ იწყებს შემადგენლობის შესრულებას. **ქართულ სისხლის სამართალში** სსსკ-ის 19-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად კი, პირის ქმედება მცდელობისას დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ უნდა იყოს მიმართული, ასე რომ, ამ მხრივ პირველ რიგში აკლია მითითება სუბიექტურზე (განზრახვაზე იხ. ქვემოთ). ამიტომაც მცდელობა **ქართულ სისხლის სამართალში** ობიექტურად ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებას უნდა წარმოადგენდეს და სახეზეა ან მაშინ, როდესაც ქმედების შემადგენლობის ერთი ნიშანი უკვე განხორციელებულია, ანდა როდესაც პირი ქმედების შემადგენლობის რომელიმე ნიშნის განხორციელებას იწყებს. ამიტომაც ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებისას ჩადენილი ქმედება ქმედების შემადგენლობის განხორციელებას მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს დროსა და სივრცეში, რაც მხოლოდ მაშინაა სახეზე, როდესაც ის ქმედების შემადგენლობის განხორციელებას უშუალოდ უძღვის წინ და მასთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული. ეს

შეესაბამება **გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობასაც**, რომლის მიხედვითაც უშუალო დაწყებაში იგულისხმება ქმედება, რომელიც შეუფერხებელი მსვლელობისას მნიშვნელოვანი შუალედური მოქმედებების გარეშე უშუალოდ ქმედების შემადგენლობის განხორციელებამდე უნდა მივიდეს ანდა უშუალო სივრცით და დროით კავშირშია მასთან. დანაშაულის განხორციელებისაკენ უშუალოდ მიმართული ქმედებაც სსსკ-ის 19-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით პირის განზრახვით უნდა იყოს მოცული (რაც გსსკ-ის 22-ე პარაგრაფის შემთხვევაში უკვე გამომდინარეობს თავის დეფინიციიდან – „მისი წარმოდგენის მიხედვით“). თუკი პირი ქმედების შემადგენლობის უშუალოდ დაწყებას მხოლოდ წარმოიდგენს, ქართულ სისხლის სამართალში მცდელობა დანამდვილებით არაა სახეზე, გერმანულ სისხლის სამართალში კი მცდელობის არსებობა სადავოა. (Bhe/Kmt)